

ინფორმაცია სოციალური დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით

რა სიახლეებს გვთავაზობს 2005 წლის ბიუჯეტი?

- საქართველოში საპენსიო მინიმუმი გაიზარდა.

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, პენსიის მინიმალურ ოდენობად, ნაცვლად 14 ლარისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი დანამატებისა, მთელი ქვეყნის მასშტაბით განისაზღვრა 28 ლარი. პენსიონერთა ის კატეგორია, რომლებიც ქალაქ თბილისში იღებდნენ პენსიას 21 ლარის, ხოლო თბილისს გარეთ მცხოვრებნი – 20 ლარის ოდენობით, 2005 წლის 1 იანვრიდან მიიღებენ 28 ლარიან პენსიას, განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა.

- ელექტროენერჯის შეღავათით მოსარგებლე მოსახლეობაზე გაიცემა ფულადი კომპენსაცია.

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 49-ე მუხლის საფუძველზე, მოქალაქეებს, რომლებთანაც კანონით დადგენილი აქვთ ელექტროენერჯის შეღავათი კატეგორიების მიხედვით განესაზღვრათ ფულადი კომპენსაცია:

ა) ორჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 16 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ა) 70 წლის დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 16 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ა) 110-ზე მეტჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 8 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ა) ორჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 16 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ა) ორჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 8 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ა) ორჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 8 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ა) ორჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 8 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ე) ორჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 2,5 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ე) ორჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 2,5 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ე) ორჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 2,5 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

ე) ორჯერ დასაქმებული – უნდა იქონიებდეს 2,5 ლარიანი პენსია, ან 11 ლარიანი პენსია და 12 ლარიანი პენსია – 23 ლარიანი პენსია;

მ) 0. ეაქეეოუე 1989 ბეეო 9 აბოეეეო ოაბაოეაქეიო ააიი ოეეააქეი აეო იი ეაი აქეე ააიბოეოეე იუაქეი აქეიე აბყეეო ააოააქეო (უაიბაიიბე - 9 აბოეეეო ააოააქეო) უაააააა ააუბოეეა იააქეო უბიიეოოიბი ბაბოაქეოა აა 9 აბოეეო ააოააქეო უაააააა ააქეი აქეეაოქეე ბეოაქეოქეეო ×ოეაქე ეი ბაიბაიბეეო ეაქაა უი ააქე ეაქეოაა ააქეოაქეოი ო 16 ეაბეო იააქეი აქეე, აქეი ბი ეაოაი ბეეო ეაქეეოუე იაქაქე ბოაქე ეაქეოქეე - 23 ეაბეე.

ი) 9 აბოეეეო ააოააქეო იი ბაბეეაქეოქეეო ×ოეაქე ეი ბაიბაიბეეო ეაქაა უი ააქე ეაქეოაა ააქეოაქეოი ო 8 ეაბეო იააქეი აქეე, აქეი ბი ეაოაი ბეეო ეაქეეოუე იაქაქე ბოაქე ეაქეოქეე - 11 ეაბეე.

კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი

პენსიონერები, რომლებიც სარგებლობენ ელექტროენერგიაზე შეღავათით და რეგისტრირებული არიან სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ადგილობრივ განყოფილებებში, ზემოთ მითითებულ საკომპენსაციო თანხას მიიღებენ პენსიასთან ერთად, მომსახურე ბანკის მეშვეობით.

ეი ბაიბაიბეეო იეიუაქე ბეოაქე, ბიიეაქეყ ბო ეეაქეაქეი ბაიბეეო იეიუააქე აა ბო ეიუი ×აქეაქე ×იიქეო აუბეყაქეა (9 აბოეეეო ააოააქეოა აა იიეო იი ბაბეეაქე), ააქე ააბოქეიე ბოქეი, ბაქაქე ბოააქეე ააქეეეო იეაქეაქეე ×იიქეო ბაქეი ბეე ×ეეეაქე ო ეიბბეი ი ააქეაქეაქეე აა ბაბაქეიქეი:

ა) ბეოაქე ბეო ააქეაბოოოაქეე ბიეიბიბეოა აა ბაქეოოაქეეო იი ბიიქეო ბოქეაქე ააქეაქეი ბეეაქე;

ბ) 9 აბოეეო ააქებაქეაქეი ბეოაქე, ბიიეაქეყ ბო ეუააქე ბაიბეეო, ბაბაოეაქეი ბოიბეო, ბაქეიბეეიბეო აა ბიიქეაქე ბოიბეე ბაქეო ბაქეიბეეოი ო იეაბ ბაქეიბეე იი ბიიქე;

გ) იიეო იი ბაბეეაქეი, ბიიეაქეყ ბო ეუააქე ბაიბეეო, იიეოა აა ბაქეაქეი ბაქეაქე ბაბაქეი იი ბიიქე.

აღნიშნული პირები კომპენსაციას მიიღებენ ფონდის მიერ გახსნილ ფულად ანგარიშზე.

კითხვა-პასუხი

კითხვა: ვარ ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირი, ამავე დროს მარტოხელა პენსიონერი (ოჯახში ვცხოვრობ მარტო). გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა 22 ლარიანი სოციალური დახმარება, როგორც მარტოხელას?

პასუხი: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების თანახმად, პირებს, რომლებსაც აქვთ 35 ლარზე მეტი ოდენობით პენსიის მიღების უფლება, მათზე 22 ლარიანი სოციალური დახმარება არ ვრცელდება.

კითხვა: მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში ვის ენიჭება სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება?

პასუხი: მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლება აქვთ გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ მისი ოჯახის შრომისუუნარო წევრებს.

ოჯახის შრომისუუნარო წევრად ითვლებიან:

- შვილები, ძმები, დები და შვილიშვილები, რომელთაც არ შესრულებიათ 16 წელი (მოსწავლეებს - 18, ხოლო სტუდენტებს - 23), ან ამ ასაკზე უხნესი, თუ ისინი დაინვალიდნენ მანამდე, სანამ 16 წელი (მოსწავლეებს 18 წელი)

შეუსრულდებოდათ. ამასთან, ძმები, დები, შვილიშვილები იმ პირობით, თუ მათ არ ჰყავთ შრომისუნარო მშობლები;

- მამა, დედა, ცოლი, ქმარი, თუ მათ მიაღწიეს მოხუცებულობის ასაკს: კაცებმა-65 წელს, ქალებმა-60 წელს ან თუ ისინი ინვალიდები არიან;
- ერთ-ერთი მშობელი ან მეუღლე, ასაკისა და შრომისუნარიანობის მიუხედავად, თუ იგი არ მუშაობს და უფლის გარდაცვლილი მარჩენალის შვილებს, დებს, ძმებს ან შვილიშვილებს, რომლებსაც 8 წელი არ შესრულებიათ;
- პაპა და ბებია, თუ არ ჰყავთ პირები, რომლებიც კანონით მოვალენი არიან, არჩინონ ისინი.

კითხვა: მყავს პენსიონერი მეუღლე, რომელიც ამჟამად იხდის სასჯელს. პენსიის გაცემა შეუჩერდა დაპატიმრებასთან დაკავშირებით. მას მისჯილი აქვს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. გთხოვთ, განმიმარტოთ, მიეცემა თუ არა პენსია და რა დროიდან?

პასუხი: თქვენს მეუღლეს პენსიის გაცემა განუახლდება თავისუფლების აღკვეთის აღვილიდან გათავისუფლების შემდეგ, სათანადო ორგანოებში მიმართვის დღიდან.

კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს შრომის სტაჟი მოწმეთა ჩვენებით?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოწმეთა ჩვენებით შეიძლება დადგინდეს იმ პირთა სტაჟი, რომლებსაც არა აქვთ საბუთები მუშაობის სტაჟის შესახებ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის ან საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, სადაც ისინი მუშაობდნენ.

მოწმეთა ჩვენებით შეიძლება მხოლოდ იმ შრომის სტაჟის დადგენა, რაც პირს დადასტურებული აქვს ოფიციალური საბუთებით, მაგრამ არაუმეტეს პენსიის დასანიშნად საჭირო სტაჟის ნახევრისა.

აქვე განვმარტავთ, რომ პენსიის დასანიშნად საჭირო მთელი სტაჟის მოწმეთა ჩვენების საფუძველზე დადგენა კანონით დაუშვებელია.

კითხვა: მყავს 7 წლის ბავშვი. მეუღლე გარდამეცვალა. მაქვს საკმაოდ მაღალი ანაზღაურება. მაინტერესებს, დაენიშნება თუ არა ჩემს შვილს პენსია დედის გარდაცვალების გამო?

პასუხი: განვიმარტავთ, რომ ორივე მშობლის კმაყოფაზე მყოფ შვილებს, უფლება აქვთ მიიღონ პენსია მამის ან დედის გარდაცვალების გამო იმ შემთხვევაშიც, თუ მეორე მშობელი მუშაობს. ასე რომ, თქვენს შვილს პენსია დედის გარდაცვალების გამო ყველა შემთხვევაში დაენიშნება. აღნიშნულ საკითხზე გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კითხვა: გარდამეცვალა მეუღლე, მყავს ორი არასრულწლოვანი შვილი, ერთი მათგანი პირველი ქმრისაგან, რომელთანაც განქორწინებული ვარ, ხოლო მეორე აწ გარდაცვლილისაგან. პენსია მარჩენალის გარდაცვალების გამო დაუნიშნეს ერთ ბავშვს, ხოლო მეორეს, იმის გამო, რომ ის ჩემი პირველი მეუღლისაგან იღებს ალიმენტს, პენსია არ დაუნიშნეს.

გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად კანონიერია აღნიშნული გადაწყვეტილება?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მამინაცვლის ან დედინაცვლის გარდაცვალების გამო ვერ შეიძლება პენსია ენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იღებენ ალიმენტს ნამდვილი მშობლებისაგან.

აქედან გამომდინარე, შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენი რაიონის სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილების გადაწყვეტილება სავსებით კანონიერია.

კითხვა: ჩემმა შვილმა 1-ლი ჯგუფის ინვალიდობა მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად. იმის გამო, რომ მას მოვლა ესაჭიროებოდა, მუშაობას თავი დავანებე და 10 წელია ვუვლი. ჩამეთვლება თუ არა შრომის სტაჟში ეს წლები?

პასუხი: ინვალიდის ოჯახის წევრს ან სხვა პირს, მუშაობის საერთო სტაჟში ეთვლება სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან იმ პირველი ჯგუფის ინვალიდის ფაქტიური მოვლის დრო, რომელიც დაინვალიდა მეორე მსოფლიო ომში, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ანდა სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების შედეგად, აგრეთვე, ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული სხვა დაავადებების გამო.

აქვე გავმარტავთ, რომ ომის ინვალიდის მოვლის პერიოდის შრომის სტაჟში ჩასათვლელად საჭიროა გამგეობის გადაწყვეტილება – საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კითხვა: ვარ პენსიონერი, ვცხოვრობდი რეგიონში, მაგრამ იმის გამო, რომ შვილები ჩვენთან ერთად არ ცხოვრობდნენ, მე კი მარტო ყოფნა აღარ შემიძლო, საცხოვრებლად გადმოვედი თბილისში ერთ-ერთ შვილთან. რა პერიოდიდან მომეცემა პენსია?

პასუხი: სხვა რაიონში ან ქალაქში პენსიონერის მუდმივად საცხოვრებლად გადასვლის შემთხვევაში, პენსიის გაცემა ამ რეგიონში თუ ქალაქში გაგრძელდება იმ დღიდან, როცა სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილება პენსიონერის საპენსიო საქმეს მის ახალ საცხოვრებელ ადგილზე მიიღებს; ამასთან, ახალ საცხოვრებელ ადგილზე პენსიის გაცემა განახლდება იმ დროიდან, რომლიდანაც შეწყდა მისი გაცემა პენსიონერის წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე.

კითხვა: მივემგზავრები საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად. მაინტერესებს, რამდენი თვის პენსია მომეცემა წინასწარ და რომელი ქვეყნის ვალუტით?

პასუხი: პენსიონერებს, რომლებიც საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მუდმივად საცხოვრებლად, გამგზავრების წინ ეძლევათ 6 თვის პენსია ადგილობრივი ვალუტით. აღნიშნულ პენსიონერთა შემდგომ საპენსიო უზრუნველყოფაზე ზრუნავს მიმღები სახელმწიფო.

კითხვა: 42 წლის ასაკში გარდამეცვალა მეუღლე, რომელსაც ჰქონდა 14 წლის შრომის სტაჟი. მის კმაყოფაზე მყოფი პირებიდან დავრჩით მე და ჩემი 4 წლის შვილი. ამჟამად არ ვმუშაობ. მაინტერესებს, დამენიშნება თუ არა პენსია შვილთან ერთად და ვის უნდა მიემართო?

პასუხი: აღნიშნული პირობების მიხედვით, მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო, პენსია შვილთან ერთად თქვენც დაგენიშნებათ და მოგეცემათ ბავშვის 14 წლის ასაკის შესრულებამდე (თუ აღნიშნულ დრომდე არამომუშავე იქნებით).

პენსიის დანიშვნის თაობაზე უნდა მიმართოთ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონულ განყოფილებას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კითხვა: მარჩენალის გარდაცვალების გამო დანიშნული მქონდა პენსია, რომელსაც 1998-2000 წლებში ვერ ვიღებდი დაფინანსების წყაროს უქონლობის გამო. მიმდინარე წლის აპრილიდან დამენიშნა ინვალიდობის პენსია. ამჟამად მიმდინარეობს წინათ გაუცემელი პენსიების გაცემა. მაინტერესებს, როგორი წესით ამინაზღაურდება მიუღებელი პენსია – ძველი თუ ახალი ოდენობით?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინა პერიოდის პენსია გაიცემა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ინიშნებოდა იმ წლებში, როცა გაცემა არ მოხდა.

კითხვა: ვარ უსინათლო, 1-ლი ჯგუფის ინვალიდი. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვსარგებლობ თუ არა შეღავათით ბუნებრივი აირით სარგებლობისას. თუ ვსარგებლობ – რა ოდენობით?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსინათლო 1-ლი ჯგუფის ინვალიდები სარგებლობენ შეღავათით ბუნებრივი აირის მოხმარებისას თვეში 40 კუბ. მეტრის ოდენობით. გარდა ამისა, თქვენ, საკრებულოს გადაწყვეტილების მიხედვით, სარგებლობთ 100%-იანი შეღავათით წყლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე.

კითხვა: ვარ 50 წლის, გარდამეცვალა მეუღლე, რომლის კმაყოფაზეც ვიმყოფებოდი. ავადმყოფობის გამო ვერ ვმუშაობ. დამენიშნება თუ არა პენსია მისი გარდაცვალების გამო?

პასუხი: მეუღლის გარდაცვალების გამო პენსია მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგენიშნებათ, თუ ხართ შრომისუუნარო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ე.ი. ცნობილი ხართ რომელიმე ჯგუფის ინვალიდად).

კითხვა: ჩემს მეუღლეს, რომელიც სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა, რკინიგზის ლიანდაგის გადაკვეთისას დაეჯახა ელმავალი და დაიღუპა. მე თვითონ ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი. მეკუთვნის თუ არა პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო?

პასუხი: მარჩენალის დაკარგვის გამო, პენსია შრომითი დასახიზრებით მხოლოდ მაშინ დაგენიშნებათ, თუ უბედურ შემთხვევაზე დროულად არის შედგენილი სათანადო აქტი და მეუღლის გარდაცვალების ცნობაში მისი დაღუპვა დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი თხოვნის დაკმაყოფილებისათვის კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

კითხვა: ვარ შრომის 1-ლი ჯგუფის ინვალიდი. რა შეღავათებით სარგებლობენ ჩემი კატეგორიის პირები?

პასუხი: ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე მცხოვრები შრომის 1-ლი ჯგუფის ინვალიდები სრულად თავისუფლდებიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და წყლის გადასახადისაგან. აგრეთვე, უფასოდ მოიხმარენ 40 კუბ. მეტრ ბუნებრივ აირს. რეგიონების მაცხოვრებლებზე შეღავათები გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დაადგენენ მსგავს შეღავათს (ე.ი. გამონახავენ მისი დაფინანსების შესაძლებლობას).

კითხვა: გარდამეცვალა მამა, რომელიც იყო სამამულო ომის ინვალიდი. გთხოვთ გამარკვიოთ, ეკუთვნის თუ არა გარდაცვლილის ოჯახს რაიმე დახმარება?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრებს (მემკვიდრეებს) ეძლევათ დახმარება გარდაცვლილის პენსიის ხუთმაგი ოდენობით.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული დახმარების მისაღებად უნდა მიმართოთ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონულ განყოფილებას დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს სამი წლის განმავლობაში.

კითხვა: გარდამეცვალა მამა, რომელიც იყო მეორე მსოფლიო ომის 1-ლი ჯგუფის ინვალიდი. მიუღებელი დარჩა 6 თვის პენსია, რომელიც მე ავიღე. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ომის ინვალიდის გარდაცვალებისას ოჯახს ეძლევა ფულადი დახმარება, რაზეც უარი მითხრეს. გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენად კანონიერია ეს უარი?

პასუხი: თუ მამათქვენი მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახს ეკუთვნოდა ფულადი დახმარება ყოველთვიური პენსიის ხუთმაგი ოდენობით (ანუ 45X5).

რაც შეეხება გარდაცვლილი პენსიონერის მიუღებელ პენსიასა და დახმარებაზე მიმართვის ვადებს, მოქმედებს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

კითხვა: გთხოვთ განგვიმარტოთ, პენსიონერთა რომელ კატეგორიას აქვს უფლება, მუშაობის პერიოდში სრულად მიიღოს პენსია?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუშაობის პერიოდში ხელფასთან ერთად პენსია სრულად ეძლევათ პენსიონერთა შემდეგ კატეგორიას:

- ომისა და სამხედრო ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს;
- ჩერნობილის აეს-ის ადღგენითი სამუშაოების შესრულების შედეგად დაინვალიდებულებს;
- რეპრესირებულებსა და მათი ოჯახის შრომისუუნარო წევრებს.

კითხვა: ვცხოვრობ კიევში. ვარ უკრაინის მოქალაქე. დროებით ჩამოვედი თბილისში ნათესავების მოსახსენებლად. გავხდი ავად. მესაჭიროება ხანგრძლივი წოლითი რეჟიმში. ინვალიდობის ჯგუფის დადგენის მიზნით მივმართე სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს, საიდანაც ჯგუფის დადგენაზე და პენსიის დანიშვნაზე მითხრეს უარი. გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად კანონიერია მათი მოქმედება?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროში შემოწმებას ექვემდებარებიან პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში. ვინაიდან თქვენ მუდმივად ცხოვრობთ კიევში და ხართ უკრაინის მოქალაქე, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ სამართლიანად გეთქვათ უარი ინვალიდობის ჯგუფის დადგენასა და, აქედან გამომდინარე, პენსიის დანიშვნაზე.

კითხვა: ბებია და ბაბუა ვზრდით 8 წლის შვილიშვილს. ბავშვის დედა მარტოხელაა, მაგრამ ამჟამად ცხოვრობს თურქეთში. ეკუთვნის თუ არა რაიმე დახმარება ჩემს შვილიშვილს?

პასუხი: მარტოხელა დედად ითვლება ქალი, რომელსაც ბავშვის მამასთან არ ჰქონია რეგისტრირებული ქორწინება, არ ცხოვრობს მასთან ერთ ოჯახად და დაბადების მოწმობაში შვილი გატარებული ჰყავს თავის გვარზე (ანუ ბავშვის მამობა არ არის დადგენილი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენს ქალიშვილს დადგენილი აქვს მარტოხელა დედის სტატუსი, ბავშვის 18 წლის ასაკის შესრულებამდე ეკუთვნის დახმარება თვეში 5 ლარის ოდენობით, ასევე სარგებლობს შეღავათით წყლის გადასახადზე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გადასახადზე და 40კუბ. მეტრი გაზის გადასახადზე. მაგრამ თუ იგი ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, მისთვის, როგორც მარტოხელა დედისათვის, სახელმწიფო დახმარების დანიშვნა-გაცემისათვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

კითხვა: ვარ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის შვილი. შემისრულდა საპენსიო ასაკი (60 წელი). მაქვს 27 წლის შრომის სტაჟი. გთხოვთ განმიმარტოთ, სად და ვის მივმართო პენსიის დასანიშნად და მაქვს თუ არა უფლება, ერთდროულად მივიღო ორივე პენსია?

პასუხი: საპენსიო ასაკს მიღწეულმა მოქალაქეებმა პენსიის დასანიშნად უნდა მიმართონ სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ პიროვნება მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში წარადგენს პენსიის დასანიშნად საჭირო ყველა საბუთს, პენსია დაენიშნება თავდაპირველი მიმართვის დღიდან. ხოლო თუ 3 თვის განმავლობაში ვერ

შეძლებს პენსიის დასანიშნად საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენას, პენსია დაენიშნება უკანასკნელი საბუთის წარდგენის დღიდან.

იმ შემთხვევაში, თუ პირს ერთდროულად გააჩნია რამდენიმე სახის პენსიის მიღების უფლება, დაენიშნება ერთი პენსია, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელია.

შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენთვის უფრო ხელსაყრელია, მიიღოთ პენსია, როგორც რეპრესირებული პირის შვილმა, ვინაიდან მისი ოდენობა 45 ლარი იქნება. მსგავს შემთხვევაში, ერთდროულად ორი სახის პენსიის დანიშნისათვის კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

კითხვა: გარდამეცვალა მეუღლე. დამრჩა მცირეწლოვანი შვილი. დანიშნული გვაქვს პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო. მე თვითონ ვარ უმუშევარი, მაგრამ შრომისუნარიანი. პენსიის გარდა, მეკუთვინის თუ არა რაიმე დახმარება?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მარჩენალდაკარგული ოჯახი პენსიის გარდა სარგებლობს კომუნალურ გადასახადებზე რიგი შეღავათებით. კერძოდ, სრულად თავისუფლდება წყლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გადასახადისგან და უფლება აქვს, უფასოდ ისარგებლოს 40 კუბ. მეტრი ბუნებრივი აირით.

კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ, რეპრესირებულთა შვილებს რა პერიოდიდან ეძლევათ პენსია?

პასუხი: პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის შრომისუნარო წევრებს, რომლებმაც სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას შესაბამისი საბუთები მიმდინარე წლის 1 იანვრამდე ჩააბარეს, პენსია მიეცემათ 2004 წლის 1 იანვრიდან. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე რეგისტრირებულებს პენსია მიეცემათ ყველა დოკუმენტის შეტანის დღიდან, თვის 15 რიცხვამდე რეგისტრირებულებს – პირველი რიცხვიდან, ხოლო 15 რიცხვის შემდგომ რეგისტრირებულებს – მომდევნო თვიდან.

კითხვა: ვარ სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი და შრომის ვეტერანი. ვის მივმართო, რომ მივიღო საერთო სარგებლობის ტრანსპორტით უფასო მგზავრობის საბუთი?

პასუხი: სამამულო ომის ინვალიდებმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა ელექტროტრანსპორტსა და მუნიციპალურ ავტობუსებში უნდა წარადგინონ ვეტერანის მოწმობა, რათა ისარგებლონ უფასო მგზავრობის უფლებით.

აღნიშნული მოწმობის მისაღებად გირჩევთ, მიმართოთ ვეტერანთა საბჭოს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.